ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

პრეს-რელიზი
საქართველო საკანონმდებლო ღიაობას ზრდის

თბილისი. 2018 წლის 5 თებერვალი – **საქართველოს პარლამენტმა 2017 წლის ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული 24 ვალდებულებიდან 13 სრულად, ხოლო 11 კი ნაწილობრივ შეასრულა. 2017 წლის მიღწევებს შორისაა პარლამენტის წევრების ეთიკის კოდექსის ინიცირება და ელექტრონული პეტიციების სისტემის ამოქმედება. ღია პარლამენტის ვალდებულებების შესრულება 2018 წელს გაგრძელდება.**

ღია პარლამენტის 2017 წლის სამოქმედო გეგმის განხილვა 5 თებერვალს გამართულ შეხვედრაზე შედგა. ღონისძიების ორგანიზატორი იყო საქართველოს პარლამენტი, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) თანამშრომლობით.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის წევრებმა, მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის 2017 წლის შედეგები წარადგინა **ირინა ფრუიძემ**, ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს თავმჯდომარემ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, **თამარ ჩუგოშვილმა**, აღნიშნა, რომ ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა მონაწილეობა 2018 წლის ღია პარლამენტის საქმიანობის პრიორიტეტი გახდება.

„გასულ წელს მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ პარლამენტის მუშაობის გამჭვირვალობისა და ღიაობის მიმართულებით. 2018 წელს, ჩვენი პრიორიტეტი იქნება მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. საქართველოს პარლამენტის ახალი ვებგვერდი, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს ამოქმედდება, ინოვაციური შესაძლებლობებს მისცემს მოქალაქეებს ინფორმაციის მარტივად მოძიებისათვის და საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობის მისაღებად“, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

სოფი ჭუე გერიშმ, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მმართველობის სექტორის კოორდინატორმა, ხაზი გაუსვა სამოქალაქო საზოგადოების მონიტორინგისა და ზედამხედველობის როლს საკანონმდებლო ღიაობის გაზრდის პროცესში.

„ღია პარლამენტი აძლიერებს ხელისუფლების ანგარიშვალდებულებასა და გამჭვირვალობას. იგი ასევე დამატებით შესაძლებლობებს ქმნის სამოქალაქო საზოგადოებასთან, კერძო სექტორსა და მოქალაქეებთან თანამშრომლობისათვის“, – განაცხადა ჭუე გერიშმ.

ღია პარლამენტი ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ნაწილია, რომელიც მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანას აერთიანებს. მიმდინარე წელს საქართველო OGP-ის თავმჯდომარე ქვეყნის როლს ასრულებს და 2018 წლის ივლისში OGP-ის მეხუთე ყოველწლიურ სამიტს უმასპინძლებს.

ქეთევან ცანავამ, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელმა და საქართველოს ღია მმართველობის კოორდინატორმა, გააცნო შეხვედრის მონაწილეებს საქართველოს მიღწევები OGP-ის ვალდებულებების შესრულების პროცესში და გლობალური სამიტისათვის მზადებაზე ისაუბრა.

საკონტაქტო ინფორმაცია:

- ანა გოჩაშვილი, საქართველოს პარლამენტი, +995 599 999908, agochashvili@parliament.ge
- თამარ მიქაძე, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, +995 32 2943763, tamriko.mikadze@eeas.europa.eu
- სოფო ჭიჭინაძე, UNDP საქართველო, +995 599 196907, sophie.tchitchinadze@undp.org
- მერი მახარაშვილი, IDFI, +995 599 500137, m.makharashvili@idfi.ge